gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 246/09 D 18.01.13

შპს "წყარო"-ს დამფუძნებელს
ბატონ თენგიზ პირველს

ასლი: ქ.თბილისის მერიას

კომპანიაში "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" შემოსულია შპს "წყარო"-ს დამფუძნებელთა განცხადება №7676/06, 19.12.2012 რომელიც მერიაში დარეგისტრირებულია №QN№199199, 19.12.2012 წ. რომელშიც აღნიშნულია რომ მათი მიწის ნაკვეთის, (ს.კ.01.10.11.001.042, გელოვანის გამზირთან) მომიჯნავედ მდებარე ტერიტორია, სადაც გაედინება კომპანიის მაღალწნევიანი დ=900მმ წყალდენი, განკარგულია პირდაპირი მიყიდვის წესით. განცხადებაში ასევე აღნიშნულია რომ ამ ტერიტორიაზე შპს "წყარო"-ს სახსრებით და ძალებით ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაოები და მოწყობილია კომუნალური დანიშნულების სისტემები (წყალსადენის, კანალიზაციის, ელმომარაგების) რაც საკითხის ადგილზე შესწავლით დადასტურდა.

აღსანიშნავია რომ შპს "წყარო"-ს წარმომადგენლებმა შეასრულეს შპს "თბილწყალკანალის" მიერ 1999 წ. და 2002 წ. გაცემული ტექნიკური პირობის მოთხოვნები არა მხოლოდ თავის კუთვნილ ნაკვეთზე. კომპანიის მოთხოვნით მიმდებარე ტერიტორიაზეც მოეწყო მიწის დაქანებული ნაწილის გასამაგრებლად რკინაბეტონის კედელი რომელიც იცავს დ=900მმ წყალდენს და დატოვებული იქნა წყალდენებთან მისასვლელი დერეფანი რომლის საშუალებით კომპანია აწარმოებდა წყალდენებთან მისვლას და მათზე გეგმიურ და გადაუდებელი სამუშაოების წარმოებას.

07/4977-2
21 01 13

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
მის: 0179 თბილისი, მ. კოსტავას I შესახვევი №33 ტელ: +995 (32) 93 11 11 ფაქსი: +995 (32) 98 26 07
ელ-ფოსტა: info@georgianwater.com www.georgianwater.com

საქართველოში მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად (СниП 2.04.02-84. რომლის მოქმედების ვადა გაგრძელებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 18.02.2010 წლის №1-1/251 ბრძანებით) მუხლი 10. სანიტარული დაცვის ზონები, სანიტარული დაცვის ზონის საზღვრები, პუნქტი 10.20-ით წყალდენების სანიტარული-დამცავი ზოლის სიგანე მშრალ გრუნტებში დ=1000მმ-მდე წყალდენებთან განისაზღვრება – 10 მეტრით და არა უმცირეს 20 მეტრისა უფრო დიდი დიამეტრის შემთხვევაში.

ამასთან წყალდენებზე ავარიული-აღდგენითი, პროფილაქტიკური და გეგმიური სამუშაოების წარმოებისათვის უნდა არსებობდეს მათთან მისასვლელი გზა.

ნაკვეთის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 01.10.11.001.209) გამავალი დ=900მმ და ტერიტორიის ქვევით (ტრასისკენ) წითელი ზოლიდან 2 მეტრში მდებარე დ=1200მმ მაღალწნევიანი წყალდენების გასწვრივ არსებული წყალდენების სანიტარული-დამცავი ზოლი და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს გაზრდილი რისკის ზონად და მასში და მის სიახლოვეში აშენებულ შენობებს ან მოწყობილ სხვა დანიშნულების ნაგებობებს წყალდენების დაზიანების შემთხვევაში, შეიძლება მიადგეს ზიანი ან მოხდეს სხვა ნეგატიური გაუთვალისწინებელი მოვლენები, რაზეც კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ბახტაძე

ადმინისტრაციული დირექტორი